

განმარტებითი ბარათი

„ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია სახელმწიფო ზედამხედველობის პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე ზედამხედველობის პროცედურების გაუმჯობესების აუცილებლობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია სახელმწიფო ზედამხედველობის პროცედურების სრულყოფა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით ზუსტდება სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების ვადები. კერძოდ, იზრდება დელეგირებულ უფლებამოსილებებზე ზედამხედველობის ორგანოს რეაგირების ვადა 20 დღემდე. ასევე კანონპროექტი აზუსტებს დელეგირებულ უფლებამოსილების სფეროში ზედამხედველობის პროცედურას. აუცილებელი ხდება მიზანშეწონილობის მოტივის წერილობითი დასაბუთება როგორც ზედამხედველობის ორგანოს მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) ნორმატიული აქტის შეცვლის ან გაუქმების თაობაზე მოთხოვნის, აგრეთვე ნორმატიული ან ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევებში. ამგვარი დასაბუთება კიდევ ერთ გარანტიას შექმნის ზედამხედველობის ორგანოს მიერ თვითმმართველობის საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევის შესაკავებლად.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გაღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი ვანო ხუხუნიძე